

პირველი სვეტი

რატომ არ გამოდიან საქართველოს სპორტული ფედერაციები საკავშირო დაქვემდებარებულნი? ამაზე, მთავარი მიზეზი ისაა, რომ ფედერაციებს ხანსრები აღარ ექნებათ. ვანა ხულ ერთი არ არის, საქართველოს მთავრობა სპორტსა და სპორტულ ფედერაციებს ხანსრები აღარ აძლევს. ვანა ხულ ერთი არ არის, საქართველოს მთავრობა სპორტსა და სპორტულ ფედერაციებს ხანსრები აღარ აძლევს.

მეორე ნაბიჯი

რუსთავი.

რას უნდა ვთქვათ სპორტულმა ფედერაციებმა თავად უნდა გადაწყვიტონ საკავშირო ფედერაციებთან ურთიერთობის საკითხი. ახლა, რაც შეეხება დაფინანსებას, ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და დღემდე არსებული წესით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ აფინანსებს. სისტემა ასეთი იყო: სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულს აძლევდა ისევ სახელმწიფო ორგანიზაციას, ამ შემთხვევაში, სპორტსსახელმწიფო და შემდეგ, კომიტეტი ანაწილებდა მას სპორტის ცალკეულ სახეობებზე.

გვანახარებას „ლელო“ ექვემდებარება თუ არა, ხკპ პარტიის სისტემას. არის თუ არა, რედაქციას რომელიმე პარტიული ორგანიზაცია?

ა. ლატაბიძე,
ბ. სომხიშვილი,

თბილისი.

„ლელო“ იბეჭდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში და მისი ყოველწლიური მოგება ერთ მილიონზე მეტი მანეთი მიდიოდა სკკპ ბიუჯეტში. წლებულს, როგორც ამას აღწერე უკვე ვიწყებოდი, რედაქციის შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით, „ლელოს“ მთლიანი მოგება „სამაჩხაძის ალტერნატივის ფონდში“ გადაირიცხებოდა.

„ლელოში“ წელს სრული დემოკრატია გატარდა, სკკპ ყველა წევრმა დატოვა ამ პარტიის რიგები, ამჟამად „ლელოში“ არც ერთი პოლიტიკური პარტიის პირველი ორგანიზაცია არაა შექმნილი. ვახუთი. შრომითმა კოლექტივმა დამოუკიდებელ გაზეთად გამოაცხადა.

საინტერესოა, საქართველო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი რატომ არ აიძულებს სპორტულ ფედერაციებს, გახდნენ მხოლოდ ეროვნული ფედერაციები?

ნოდარ კიკნაველიძე,

თერჯოლა.

ოლიმპიური ქარტია, რომლის უზენაესობას აღიარებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, კრძალავს ყოველგვარ ადმინისტრაციულ ჩარევას სპორტული ფედერაციების საქმიანობაში. შემოქმედება ფედერაციებზე, მით უმეტეს, ძალდატანებით, ქარტიის მოთხოვნების უხეში დარღვევაა. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღიარებენ და თანამშრომლობენ მხოლოდ იმ ფედერაციებთან, რომლებიც არიან დამოუკიდებელი.

ამაგზაზე, საქართველოში სპორტის განვითარება-ხელშეწყობის საკითხს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გადაეცემა, რამდენად სწორია ეს მოხაზუბა?

ა. სომხიძე,
თბილისი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ფუნქცია განსაზღვრულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტით. სპორტის განვითარებას ყველა ქვეყანაში შესაბამისი ორგანიზაციები ხელშეწყობენ, ქარტით, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ფუნქცია განსაზღვრულია მხოლოდ ოლიმპიური თამაშებისათვის სპორტსმენთა მომზადების ხელშეწყობით და თამაშებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფით.

ამრიგად, სპორტის განვითარება-ხელშეწყობის ფუნქციის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებზე გადაცემა ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიის, რომლის პრინციპებსაც სპორტის განვითარება იცავს.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

23 დეკემბერი, 1990 წ.
№ 242 (10 411) • შპსი 3 კაპა.
„ლელო“ დამატებითი ნომრის ფასი გაუძღვარი 15 კაპიკია

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა „სამაჩხაძის ალტერნატივის“ ფონდში. თანხა შევიკრიბეთ გადასაცემად საპარტიული მრეწველობის საოკუპაციო სამმართველოში სსზ № 521921. „სამაჩხაძის ალტერნატივის ფონდში“

00700750

ველით თქვენს გამოცხადებას. თანხის გადასაცემის თარიღზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.

დაეხმება ჩანაღმინიდან **30 ლვ 2000 კანონი**


ახალი წლის რაიონის სახელმწიფო ინსპექციის კოლექტივმა „სამაჩხაძის ალტერნატივის ფონდში“ გადასაცემა 2000 მანეთი. დეკემბერს ხელს აწერს ინსპექციის უფროსი მუშალაძე.

იმნებ გავლა სჯობს?..

სპორტის როლიანთ სახეობაში საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობას ჩვენთვის დღესაც დამსწრეების გარდა არაფერი მოაქვს. დავფიქრებულვართ ამ საკითხზე? დავფიქრებთ!

ცურვას, გარდა წყალში გადაყრილი ხარჯებისა, კარგა ხანია, სასიკეთო არაფერი მოუტანია ქართული სპორტისათვის. ლაპარაკია მხოლოდ დიდ სპორტზე. ათეული წლებია ვაცხადებთ, რომ ვუახლოვდებით საკავშირო და საერთაშორისო მიღწევებს, მაგრამ ვერ მივუახლოვდით. საკავშირო შედეგებზე ორიენტირის აღება დღეს, ვფიქრობთ, საჭირო აღარ არის, რადგან საერთაშორისოს თვით-საკავშირო კულში მისჩანალებს და დღეს ვერაფერს მოგვცემს იმის გარანტიას, რომ საქართველოში მომავალშიც გამოჩნდებიან „ცისფერი ბილიკების“ ვარსკვლავები. ვანა მრავლისმეტყველი არ არის ის, რომ რესპუბლიკის 10 საუკეთესო სპორტსმენს შორის ქართველ მოცურავეს (თინა ლეკვიშვილის შემდეგ) უკვე სრული 20 წელიწადია ვეღარ ვხედავთ? მოდი, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი: ცურვა ვერ იქცა ქართული სპორტის ეროვნული ნიშნის მატარებელ სახეობად, ნულად გადაყვრილი სახსრებს, დაუყოვნებლივ გამოვეყოთ საკავშირო ფედერაციას, ისედაც ცოტა ჩვენი საცურაო აუზები მთლიანად დავუთმოთ ხალხს, განსაკუთრებით ბავშვებს, მივხედოთ ერის განმრთელობას, თავიდან ავიცილოთ უამრავი უბედური შემთხვევები, ფაქტია, რომ ყოველწლიურად შემამოფრთხილავს იზრდება ცურვის უტოლნობით წყალში დაღუპულთა სტატისტიკა. ცურვაში საკავშირო შეჯიბრებებისათვის ნაკრები გუნდების მოსამზადებლად გამოყოფილი ბიუჯეტის სახსრები მოვანბაროთ სხვა სპორტის უფრო დაწინაურებებს, სადაც საერთაშორისო სარბიელზე საამაყო შედეგები გვაქვს. ცურვის მწვრთნელთა კორპუსი უმუშევრად არ დარჩება და არც უნდა დარჩეს, პირიქით, ისინი საკმარისიც არ იქნებიან,

თუ ყველა აუზზე ცურვაში სპორტული მუშაობისთვის გამოყოფილ დროს მოსახლეობის გაჯანსაღებისთვის გამოვიყენებთ. მეტიც, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ცურვის შემსწავლელ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასი, სულ მცირე, გასამაგდეს დღევანდელთან შედარებით. ისინი ამას იმსახურებენ, რადგან ადამიანებს ცურვის შესწავლით მეორე სიცოცხლეს ჩუქნიან, ჯანმრთელობას კი, მოგვსენებთ, ფასს არ ადებენ. და კიდევ ერთი: რაც მეტ მოზარდს მოვიზიდავთ ცურვაში, მით უფრო მეტი შესაძლებლობა მოგვეცემა გამოვავლინოთ ტალანტი ე. წ. „ოქროს თევზი“, ღმერთმა ქნას ნიჭიერებს გზას ვინ გადაუღობავს. ალბათ, ახლო მომავალში საქართველოს ცურვის დამოუკიდებელმა ფედერაციამ თავად უნდა შეიმუშავოს ნიჭიერთა დაოსტატების სისტემა. ასე აჯობებს საქმისთვის. დას, თავს მეტს ნულად მოვიტყუებთ, სწორედ რომ დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ვინმემ რომ არ გვისაყვედუროს, პირველს რაღა მაინც და მაინც ცურვას დაადგით თვალის, წინ გაუღწერებთ მოვლენებს და ვიტყვი, რომ იგივე ცურვის გზას, უმოკლეს დროში ალბათ, უნდა დაადგეს ცხენოსნობაც. ისეთ სახეობებში, როგორცაა ცურვა, ცხენოსნობა და ა. შ. საკავშირო შეჯიბრებების ორგანიზატორებს ჩვენი ოსტატობის დონის ამალღების დარდი როდი აქვთ, ერთთავად იმას ფიქრობენ, ხელიდან არ დაუხსლტეთ რესპუბლიკური ფედერაციები, შეჯიბრებას მჭუხარე სახელი „საკავშირო“ არ ჩამოშორდეს. საამაგიეროდ, ჩვენ უნდა ჩამოვშორდეთ მათ. კმარა საკავშირო სარბიელზე ფულის უაზროდ ხარჯვა. ჩვენსავე ხალხს ვემსახურეთ!



წარმოგიდგინთ **ქანდიშაძეს** საპარტიული ათი **საუკეთესო** სპორტსმენი, გუნდი. მწვრთნელი

„მე მაინც დავარჩი“...

პროფესორი—მომადგამე. ზუსტად ასე ჩაწერა სპორტსმენის საანკეტო ბარათში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლერი ხაბელოვმა. მართალიც არის. ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრებას, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა განსაზღვრავს, პირადი საქმეებისთვის მერედა იცდის. „ქილია-ობა ძალიან მიყვარს, ამიტომ იმის წარმოღვევა, რომ შეიძლება მას როდესმე გამოვეთხოვო, მტანჯავს“ — ამას ისე ვულწრფელად ამბობს ლერი, იტისოდენა ეჭვი არ შეგაპარებთ მისი სიტყვების სიმართლეში. თუმცა სეულის ოლიმპიადებზე ფინალურ ორთაბრძოლაში მარცხის შემდეგ თურმე ვარჯიშიც კი უპირდა, ხვდებოდა, ძველებურად აღარ ენდობოდა.

— მაგრამ მე მაინც დავარჩი — ამბობს ლერი — დავარჩი თუნდაც იმისათვის, რომ, რაც სეულის ოლიმპიურ თამაშებზე დავკარგე, ბარსელონაში ავიზაზღაურო, მიღდა ყველა ჩემს ვულშემატკივარს და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს დავუბრუნო ჩემი ძალეების რწმენა.

● ოლიმპიადის ვერცხლი თქვენთვის მარცხის ტოლფასი იყო. ამან, ცხადია, ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა თქვენზე. — აქო თქვით, მაინც დავარჩი, ესე იგი, წახვალს აპირებდით დიდი სპორტიდან. ნუთუ შეიძლება ერთი მარცხის გამო გაწვევით კავშირი საყვარელ საქმესთან...

— აქ მხოლოდ ერთ მარცხზე არ არის ლაპარაკი. სპორტსმენის ცხოვრება ხომ გამუდმებულ ნერვულობასთან, მორალურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ არის ისეთი მომენტებიც, როდესაც არაფერი გიხარია. ოლიმპიურ თამაშებამდე, როგორც სხვა სპორტსმენები, ახლოლურად ყველა ტურნირში ვმონაწილეობდი. არადა, ვგრძობდი, ასეთი დიდი შეჯიბრების წინ დასვენება მესაჭიროებოდა. მაგრამ ნაკრებში შენთვის ინტერესებს არ ითვალისწინებენ — იქ არ უყვართ სიმართლის მოყვარულები და პირშიმთქმელები. მე კი ასეთად გამაზარდეს. სწორედ ამ მიზეზით, ჯერ კიდევ 21 წლისას, მსოფლიო ჩემპიონსა და თანამდებობებს, მითხრეს: შეგიძლია დაემშვიდობო ნაკრებს, აქო ყველაფერს მიაღწიეო. მართალიც, იმ წელს, ყველა ტურნირი მოვიგე და საკმაოდ ძლიერი მეტოქეებიც



ბუშინ ორხეში ვაიხნა ახლა კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი, რომელიც ახვე ახლადდარბეულ სპორტულ კლუბ „კამარას“ ეკუთვნის. „კამარა“, ისევე, როგორც წახთან არსებული სპორტული ბაზა, შეიქმნა საპროექტო-ხანშენებლო გავრთიანება „საქინტურისტმშენის“ (გავრთიანების უფროსი — თ. ლევაჯა) თაღნობით. გუშინვე მოეწყო სპორტკომპლექსის ერთგვარი „ნათლია“. მის დარბაზში დაიწყო საქართველოს პირველი ფარეკობაში. ვრცელ მასალას ორხევის სპორტული კომპლექსისა და სპორტკლუბ „კამარას“ შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოვთავაზებთ. ალექსანდრე კობორაშვილის ფოტო.

საპარტიული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით
1990 წლის 26 დეკემბერს, ითხზაბთ, მოწვეულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხეხია. ხეხია ვაიხარებდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში (შოთა რუსთაველის პრისპექტი, 17). დასაწყისი 16 საათზე. ხეჯ-ის წევრთა დასწრება საავადებულოა. მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწება 15 საათზე.

ლაპარაკები

საპარტიზმოს ფეხბურთის ფედერაციის გადარჩევნებით, 1990 წლის ეროვნულ საფეხბურთე ჩემპიონატში მონაწილე საუკეთესო ფეხბურთელებს და მწვრთნელებს მიენიჭათ პრიზები, რომლებიც დაწესებული იყო წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციების მიერ.

(რუსთავეს „გორდა“).
საუკეთესო ბომბარდირის პრიზს მიიღებს ორი ფეხბურთელი: ვია გურული („ბებრია“) და მამუკა ფინციუღია („გორდა“). მათ ანგარიშზე 23-23 გოლია.

„საუკეთესო დებიუტანი და მისი მწვრთნელი“ — გიორგი კილა-სონია და გივი ნოდია („გორდა“).
„საუკეთესო მეკარე“ — ნიკოლოზ ჩხეიძე („ქუთაისი“).
„საუკეთესო მეკველი“ — კახი ცხადაძე („ბებრია“).
ყველაზე შედეგიან კლუბად და საქართველოს დელეგაციის საუკეთესო გუნდად მიიჩნეოს 1990 წლის ჩემპიონის თბილისის „ბებრია“, ხოლო მის თავდამსხმელს — ვია გურულს გადაეცემა ამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი.
„ყველაზე ლამაზი გოლი“ — ეს პრიზი გადაეცემა ლევან ყიფიანს. სეზონის საუკეთესო არბიტრთა სია ამანის მიხედვით ასე გამოიყურება: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი), მერაბ მაღალურაძე (თბილისი), ანატოლი მილჩენკო (სოხუმი), ელგუჯა სილაგავა, ლევან

ჩიტაია, მერაბ ქელიძე (სამეფე — თბილისი).
ზემოხსენებულ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს სამასგვრი პრიზები გადაეცემათ 1990 წლის 26 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საფეხბურთო სეზონის დამთავრებისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე.

პრიზების დაწესებულ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს ვთხოვთ, 1990 წლის 24 დეკემბერს მოზრდინდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასში (მთა იამანოძის ქუჩა № 5) ზეიმოვანი დასასრები მოსაწვევი ბარათების მისაღებად. სასურველია თან იქონიონ გადასაცემი პრიზები.

საპარტიზმოს პარკონალი ჩემპიონატი ფეხბურთში

ნახმარი ქულა

მ ცოდანაირი პარტია კარპოვმა კვლავ უკვე მერმდეველ, ლაზიერის წინა პაიტი დიფიყო. ამას ჩემპიონმა ქველიტერის დაცვით უპასუხა. გათამაშდა სისტემა, რომელიც 20-იან წლებში დამუშავა გერმანელმა დიდოსტატმა ზემიშმა და, იქიდან მოყოლებული, საქმიო პოპულარობით სარგებლობს. თეთრები ჭერ ქლიერ ცენტრს იღებენ, შემდეგ კი ცილიონზე აქტიურად ითამაშონ. ერთხანს კასპაროვის პოზიცია საცხებიტა დამაყაფილელები ჩანდა, მაგრამ შემდეგ თეთრები თანდათანობით დაეუფლნენ ინიციატივას. რა თქმა უნდა, კასპაროვი არ დელოდა მეტოქის ძალების გააქტიურებას, ამიტომ 34-ე სეზონზე მან შეწირა პაიტი და შეეცადა დამუქრებოდა ლაზიერის ფრთაზე მდგარ თეთრ შეფს.

პარტიის დასკვნითი ნაწილი ძლიერ ორმზრეო ციტირთის წარამართა. აქ კარპოვმა მისივე აღიარებით ვერ მონახა უძლიერესი გაგრქელვა და დაარგა მოცინე შე საძლებლტა.

პარტია ვადილო კარპოვის მეტოქე მატერიალური უპირატესობით — ზემეტი პაიკით. შეხვედრის განახლებისას ვაგარძელდა ცხარე ბრძოლა, რომელიც 87-ე სეზონზე ყაიმიტ დასრულდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 11:5,9:5 კასპაროვის სასარგებლოდ. ახლა მას 3 დარჩენილი პარტისიან (თუ მათი გათამაშება გახდა საქირო) სულ ნახევარი ქულა სჭირდება თავისი წოდების შესანარჩუნებლად; კარპოვმა კი, მსოფლიო ჩემპიონის წოდება რომ დაიბრუნოს, სამივე შეხვედრა უნდა მოიგოს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

სკონსორიუმი — სკობის ღონაი

მინიფეხბურთი

წელში გაიფართოვა

საპარტიზმოს მინიფეხბურთის დამოუკიდებელ ასოციაციას გამოუჩინნენ პირველი სკონსორიუმი — ტრესტ „კოლიბმშენის“ საციალიზებული უბანი, რომლის უფროსია როინ ბერაია — ასოციაციის გამგეობის წევრი, აგრეთვე, ოსურვეთის რაიონის სოფლების ნატანების, შრომისა და ქვემო ბახვის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები ვივი წითლიძე — ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვივი ხომერიკი — ასოციაციის საპარტიო პრეზიდენტი, კაკა შავიშვილი — ასოციაციის სა-

იაში გაშვების შემდეგ კი მათვე გადაეცემათ სკორტული დარბაზი სოფელ შრომაში. მინიფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის ჩატარება სწორედ ამ დარბაზშია დაგეგმილი. საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაცია და სოფელ შრომის კოლმეურნეობა მიმართავენ თხოვნით „საქსპორტსპეცოლიმპიადმშენის“ სტანდის სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ნოდარ ჭობავა), რათა არ გაგავიწილოს და დროულად ჩატაროს დარჩენილი სამუშაოები.

სკონსორიუმის მსურველებს შევახსენებთ, ასოციაციის საფინანსო კოორდინატებს: „სახმრეწმშენბანკის“ ფოთის განყოფილება, ანგარიშის ნომერია 700002.

ზურაბ ალექსანდრიძე,
ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

„კასპაროვი, რა თქმა უნდა, უკეთესია“

გაზეთმა „ნოვე რუსსკოე სლოვო“, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, გამოაცხვინა საუბარი დიდოსტატ ლევ ალბურტთან, იგი აღრე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, შემდეგ კი აშშ-ის ჩემპიონი გახდა. ვფიქრობთ, ფრაგმენტები ამ საუბრიდან ჩვენი მკითხველებისთვისაც საინტერესო იქნება.

— მე გარის არ ვიცი, მაგრამ, კატეგორიულად წინააღმდეგ ვარ, იგი კარპოვი გაუთნახართო.

კარპოვი ბრეჟნევის ეპოქის ტიპური პროლეტარი, ტიპური საბჭოთა კარიესტი. მე არ მინდა, მის საჭარბო ნიჭს გადავუხვია ხაზი, მხოლოდ მის აღმზარებელ თვისებებზე ვილაპარაკებ.

აი, იგი აღნაშთაულებს კასპაროვს, რომ მას მალე თანამდებობის მფარველები ჰყავდა. მაგრამ მათ გარეშე ხომ კასპაროვი ვერასოდეს მოიპოვებდა კარპოვთან შეხვედრის უფლებას. ხომ უბრალოდ ერთხელ გარის ფუნქციონერმა დიდოსტატმა ნიკოლოზ კროგოვსმა, საბჭოთა სპორტკომიტეტის ჯდრაკის სამმართველოს უფროსმა: „ჩვენ გვყავს ერთი მსოფლიო ჩემპიონი, მეორე აღარ გვჭირდება.“

მითითვის ეს ჩემპიონი კარპოვი იყო.

იგი ცენტრალური კომიტეტის პროზაინდის განყოფილების გამგის ტიპური ნიჭიერი მფარველობით სარგებლობდა, ამ განყოფილებას კი სპორტკომიტეტის ემორჩილებოდა. სახტად რჩები, როცა კითხვობ, როგორ ცდილობს კარპოვი (წიგნში „ჩემი და კასა“) თავის მტრებზე წარმოვიდგინოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გაროვი, მისი მოადგილე ივონინი. მათ, უბრალოდ, არ შეეძლოთ მისი მტრები ყოფილიყვნენ. ტიპური ნიჭიერი რა სახსენებელია, როცა თვით ბრეჟნევის თანაშემწეები უჭერდნენ მხარს კარპოვს და ჰზრადელ გენერალურ მდებარს მოახსენებდნენ ზოლზე „ტოლი: ას“ ამბებს.

შეეძლო თუ არა, კასპაროვს, სათანადო მხარდაჭერის გარეშე კარპოვთან ებრძოლა? პარტიის მიმართ მიყვნილია, რომ ბრძოლის საშუალება მოსცემოდა... სახსენებელია თანამდებობა კარპოვის ამ დროის განმავლობაში, რომელიც არ ყოფილა: „გმირი მეც არ ყოფილა. მე საბჭოთა ხელისუფლებას არ ვებრძოდი. 1979 წელს, როცა საშუალება მომეცა, დასავლეთში დავერი. განა კასპაროვი გამაბტყუნარია, რომ იგი გამირი არ იყო?“

კასპაროვი კარპოვთან ბრძოლას კარპოვისებურად იწყებდა. იგი ერთხანს როდი იქცა დღევანდელ კასპაროვად... ჭერ კიდევ 1988 წელს თავს იკავებდა გორბაჩოვის კომპარტისა და მთელი სისტემის კოტიკისაგან. 1989 წლის თებერვალშიც საქაროდ არ აკრიტიკებდა უთანხმოება მშინ დიფიყო, როცა 1989 წლის შემოდგომაზე ვურჩალობა „პლებიბიომ“ მსოფლიო ჩემპიონთან ინტერვიუ გამოატყვენა.

მინდა ყურადღება მივაქციო შე-

თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში

ვინ ითავაშებს ფინალში?

გამძაფრდა ბრძოლა თბილისელ მინიფეხბურთელთა ჩემპიონატში. ხუთშაბათს, 20 დეკემბერს გაიმართა მეთხუთმდღისაღური მატჩი.

საინტერესოდ წარმოებდა „ჩუღურეთისა“ და „დიდის“ შეხვედრა. თამაში ორმზრეო იერიშებით დიფიყო. მოწინააღმდეგეები ძალღეს არ ზოგადენნ მონის მისაღწევად. პირველმა მეტოქის კარი დიდის გუ-

ნდის მოთამაშე ყიზილაშვილმა დალაშქრა. ამ გოლის წყალობით პირველი ტიმი „დიდის“ გამარჯვებით დასრულდა — 1:0. მეორე ტიმი კი ამკარა იყო ჩუღურეთელთა უპირატესობა: მათ მოწინააღმდეგის კარში 4 უპასაუხო ბურთის გატანა შეძლეს.

აღსანიშნავია „დიდებ“-1-სა და „ვერა“-1-ის შეხვედრაც. ორივე გუ-

ნდი ჩემპიონატის დასაწყისიდანვე ძალზე ლამაზად, კომბინაციურად და შედეგიანად თამაშობს. დასაინი იყო, რომ ისინი ერთმანეთს მეთხუთმდღისაღური შეხვედრა უკიდურესად დამაბუღალ წარმოებდა. ორივე გუნდის ფორმირების ბეგის მოძრაობდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგე ადმინდნენ მცველები. ვარდა ამისა, უშეცდომოდ ითამაშეს შეკარებებმა. იგრძობოდა, რომ ძირითადი დრო გამარჯვებულს ვერ გამოავლენდა. ასეც მოხდა. მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ თითო ბურთის გატანა შეძლეს და მატჩის ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დასრულდა.

მატჩის შემდგომი 7-მეტრიანი დარტყმები კი უკეთესად ვერტებმა შესარულეს, გამამარჯვეს ანგარიშით — 6:5 და ნახევარფინალში გავიდნენ.

დანიარჩენი ორი მეთხუთმდღისაღური შეხვედრა ასე დასრულდა: „დიდებ“-II — „საბურთალო“-IV — 3:1, „საბურთალო“-II — „ვერა“-I — 2:1.

ნახევარფინალური შეხვედრები დღეს გაიმართება. ერთმანეთს შეხვედებიან „ვერა“-I — „ჩუღურეთი“ და „საბურთალო“-II — „დიდებ“-II“.

თავ მატჩები 14 საათზე დაიწყება.

მიხეილ აბაიშვილი

პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „გაღმდის“

(საქართველოს დემოკრატიული ხაზოვადობა, თბილისი)
ტრანსფერ-ლისტი 1991 წლის სეზონისათვის

- ჩიკვინიძე გურამ — მეკარე, დაიბადა 1973 წელს. 34000 მანეთი.
- ძიგრაშვილი ტარიელ — მეკარე — 1964 — 35100
- გოციონიძე პაატა — მცველი — 1967 — 23000
- ელყანიშვილი თამაზ — მცველი — 1962 — 37500
- მინდორაშვილი ვლადიმერ — მცველი — 1973 — 20500
- ნადირაშვილი მამუკა — მცველი — 1963 — 36000
- სურმავა ზაზა — მცველი — 1972 — 33500
- ძაღნიძე თემურ — მცველი — 1963 — 42000
- ხუბერაშვილი ვაჟა — მცველი — 1962 — 39500
- ალაფიძე მალხაზ — ნახევარმცველი — 1970 — 47000
- ანთიძე ვლადიმერ — ნახევარმცველი — 1963 — 40500
- კორთაძე პაატა — ნახევარმცველი — 1962 — 41000
- მქედურეო დავით — ნახევარმცველი — 1974 — 33000
- ოთიხაშვილი მიხეილ — ნახევარმცველი — 1968 — 39000
- ფეიჭიშვილი გორია — ნახევარმცველი — 1963 — 42000
- შოლოაშვილი თომა — ნახევარმცველი — 1962 — 42000
- ფანჯიკიძე ანზორ — თავდამსხმელი — 1972 — 33500
- ქოიავე ზურაბ — თავდამსხმელი — 1967 — 39000
- დლონტი ზაზა — თავდამსხმელი — 1967 — 39000
- ხუბერაშვილი გიორგი — თავდამსხმელი — 1960 — 42500

შენიშვნა: ტრანსფერ-ლისტი შეტანილია მხოლოდ კლუბისათვის გადასახდელი თანხა, პირადი კონტრაქტის პარამეტრებს ახალ კლუბთან მალაპარაკებას აწარმოებს უშუალოდ ფეხბურთელი ან ფეხბურთელის დავალებით ხაფ. კ. „გაღმდის“ ხელმძღვანელობა.

ჩვეულებრივ ტრანსფერის სიეში კლუბებს მხოლოდ ის ფეხბურთელები შეეძლება, რომლებთან განზორებასაც აპირებენ. საფ. კ. „გაღმდის“ ტრანსფერ-ლისტი მისი მივილი შემადგენლობის შეყვანის მიზნით არც კლუბის ფინანსური მდგომარეობა და არც საკუთარი ფეხბურთელებით უკმაყოფილება — ძირითადი, საქართველოს დემოკრატიული საფეხბურთო ჩემპიონატის მხარდაჭერის მიზნით შექმნილი კლუბი კიდევ ერთხელ ავღუნს კუთხის ნებას და ქართველი ფეხბურთის საკეთილდღეოდ, ერთი მხრივ, აძლევს საქართველოს წამყვან საფეხბურთო კლუბებს საშუალებას, გააძლიერონ თავისი რიგები: პერსპექტიული თუ გამოცდილი ფეხბურთელებით და, მეორე მხრივ, გუნდის ფეხბურთელის აძლევს მანის უფრო მაღალი დონის გუნდებში გამოვლინონ თავისი ოსტატობა.

გერმანიის ნაპრების დებიუტი

შტაბჰაბარტი პირველი მატჩი გამართა ვაერთიანებული გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც აქ შეეცარის ნაკრებს შეხვედა. მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო, გერმანიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა ფილოერმა, შესვენების შემდეგ ბურთები გაიტანეს რიდლემ, ტრამი და მათუუსმა.



საპაპვირო ჩამვირთხევი კალათხურთში

ჯერი მასპინძლობისა

ში ჩატარებული შეხვედრების შემდეგ ჩვენი კალათხურთელი გუნდი ესტუმრნენ როსტოვის „კრანიაის“ და დონეცკის „მედონ“-ს.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა პირველი თამაში როსტოველებთან ჩაატარა. სამწუხაროდ, თბილისელებმა მხოლოდ პირველი ათ წუთს შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა, შემდეგ ვერაფერი გააწყვეს და საბოლოოდ დამარცხდნენ 63:99 (28:44).

დონეცკში ყველამ მონაწილეობით ითამაშა — ვეტერანებმაც და ახალბედებმაც. განსაკუთრებით ეს ითქვამს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ კალათხურთელზე მ. მხეიძეზე, გუნდის კაპიტან ნ. ლორიაზე, ახალბედა მ. მისურაძეზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს გუნდის საბოლოო გამარჯვებაში ანგარიშით 71:65 (39:38).

გასვლითი თამაშების შემდეგ ჩვენმა გუნდმა უმასპინძლა ნიკინი ნოვგოროდის „ტრუდავეი რეზერვის“, სამწუხაროდ, მაყურებელმა ვერ იხილა ის თამაში, რომელსაც ელოდა. ამ შეხვედრაში მასპინძლებმა ძალზე სუსტად ითამაშეს — ხშირად ცდებოდნენ ტექნიკურად, არც პრესინგი იყო სრულყოფილი. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა ამ შეხვედრაში გაიმარჯვა ანგარიშით 87:79 (45:42). კარგად ითამაშეს მ. შხეიძემ, ნ. სირაძემ, თ. ბულიაშვილმა, ნ. კურტანიძემ, მ. მისურაძემ, გ. ომიანიძემ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა გასული შეხვედრაში გაიმარჯვა ნოვისიბირსკის „ლოკომოტივთან“ ანგარიშით 81:79 (44:37). გუნდის ყველა წევრმა თავისი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვიკ სანაძისა და ირაკლი ბაქრაძის კარგი თამაში. მეორე შეხვედრაში, ფრუნზელ თანაკლებლებთან, თბილისელებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ, მაგრამ დამატებით დროში მაინც გაიმარჯვეს — 95:93.

21 დეკემბერს კი თბილისელებმა მიიღეს სარატოვის „ავტომობილისტი“. მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ, უპირატესობა ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდევ — 99:95 (54:36). შესაძლოა, მაყურებელმა დარბაზი უწყალოდ დატოვა, რადგან ანგარიში სხვაობა გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სხვა რა გზაა — ჩვენი ახალგაზრდული გუნდისაგან ჯერჯერობით ეს ვიკმართი და სამომავლო წარმატებების მოლოდინში მოთმინებით აღვიჭურვოთ.

ბიკ ბარდული

საპარაკო კომპოზიცია

ახალი ინსტიტუტი

ჰარდაის-თეორია, ისტორია და გეოგრაფია იმდენად ღრმა და ფართოა, რომ აქ დავრთვებული მრავალფეროვანი ინფორმაცია საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. საცნობარო ხასიათის პირველი ლიტერატურა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, როცა ესპანელმა მოჰარაკემ ხ. დე ლა ტორემ 1825 წელს ბარსელონაში „ჰარდაის თამაშის ლექსიკონი და ტერმინები“ გამოსცა. იგი შეიცავდა ფილიპინის მიერ დამუშავებულ თამაშის წესებს და ძირითად ტერმინთა განსაზღვრებებს. შემდეგი იყო ა. ალექსანდრის მიერ 1837 წ. პარიზში დასტამბული „ჰარდაის ენციკლოპედია“, სადაც ავტორმა თავი მოუყარა ელემენტარულ ცნობებს დებიუტების შესახებ. XIX საუკუნის ბოლოს კი გამოვიდა ავსტრიელი მოჰარაკის და პრობლემატიკის ი. ბაუერის „საჰარაკო ლექსიკონი“.

მაგრამ შინაარსით და მასალის ფართო მოცულობის მხრივ ნამდვილი ლექსიკონები მხოლოდ ჩვენს საუკუნეში ჩნდება, როცა ჰარაკმა სწრაფად იწყო განვითარება და გავრცელება. ენციკლოპედიური ნაშრომის შექმნის პირველი ცდა რუსეთში ეკუთვნის ლენინგრადელი ავტორების ჯგუფს (მ. კოვანი, ლ. კუბელი, გ. ლევენფონი და სხვ.), რომელმაც 1929 წ. გამოსცა „მოჰარაკის ლექსიკონი“. დღევანდლამდე კი მოჰარაკითა უმრავლესობა სარგებლობდა მოსკოველ ავტორთა კოლექტივის მიერ 1924 წელს გამოცემული „საჰარაკო ლექსიკონით“ მან გარკვეული დამატებითი გვერდები აიკონა სხვა ქვეყნების 70-80-იან წლებში გამოცემულ საცნობარო ლიტერატურაზე. მათ შორის უნდა აღინიშნოს აშშ-ის, ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, შვეიცარიის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის და უკანასკნელ ხანს შექმნილი პოლონეთის საჰარაკო ენციკლოპედიები. მათი უმრავლესობა მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა.

დიდი პოპულარობა მოიპოვეს აგრეთვე, თემატურმა ენციკლოპედიებმა, რომლებიც ჰარდაის რომელიმე სპეციალურ სფეროს ეძღვნება. მათ შორის აღსანიშნავია იუგოსლავიელთა მიერ შექმნილი საჰარაკო დებიუტების და დაბოლოებების მრავალტომიანი ენციკლოპედიები: დ. ლევის და კ. ო. კონილის „საჰარაკო პარტიების ოქსიფორდისეული ენციკლოპედია“, ი. ავერბაძის ხუთტომიანი „საჰარაკო დაბოლოებები“, სხვადასხვა ქვეყნებში დასტამბული საკომპოზი-

ციო ცნობარები და ლექსიკონები. ახლანდელ მოსკოვში გამოცემულმა „საბჭოთა ენციკლოპედიაში“ გამოუშვა ენციკლოპედიური ლექსიკონი „ჰარაკი“, რომელიც წარმოადგენს დიდ საცნობარო-ტერმინოლოგიურ გამოცემას და განკუთვნილია როგორც კვლევითი მოჰარაკითა, მწკრივითა, მსაჯთა, პედაგოგთა, ისე ჰარდაის მოყვარულთა ფართო წრისათვის. იგი შეიცავს ჰარდაის ისტორიის, თეორიის, დასწრებული და დაუსწრებელი შეჯიბრებების, მსაჯობის, საჰარაკო კომპოზიციის საკითხებზე დაწერილ 2800-ზე მეტ წერილს. 1200 სტატიაზე მეტი ეძღვნება პერსონალებს — ბიოგრაფიულ წერილებს წარსულის და თანამედროვეობის გამოჩენილი მოჰარაკეების, საჰარაკო კომპოზიტორების, საჰარაკო მორატობის ცნობილი მოღვაწეების, ისტორიკოსების, ლიტერატორების და ურნალისტების შესახებ. დიდი ადგილი ეთმობა შეჯიბრებებს — ტურნირებს, ოლიმპიადებს, მატჩებს, რომლებსაც ერთგვს 350 ცხრილი. წერილების უმრავლესობას დართული აქვს მოკლე ბიბლიოგრაფია, რომელიც შეიხვედრს დაეხმარება გაიღრმავოს ცოდნა მისთვის საინტერესო საკითხებზე. უხვი საილუსტრაციო მასალა მოიცავს აგრეთვე პორტრეტებს, დიაგრამებს, ფერად და შავ-თეთრ ფოტოებს.

ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორია ა. კარპოვი, რომლის თაოსნობითაც საფუძველი ჩაეყარა ამ უნიკალურ გამოცემას, სხვა ცნობილ საჰარაკო მოღვაწეებთან ერთად, რედკოლეგიის შემადგენლობაში ნონა გაფორინაშვილი. ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილეობდა საბჭოთა და უცხოელ სპეციალისტთა დიდი კოლექტივი (160 კაცი), რომელთა შორის არიან ქართველი ავტორებიც: თ. ვიორგაძე, გ. ნადაგიშვილი, ვ. ნეიძე. მთავან პირველს ეკუთვნის სტატია საჩარათელოს ჰარდაის ისტორიის შესახებ, ხოლო ქართველ ეტიუდისტებს წერილები: „საერთო კომპოზიცია რუსეთში“ და „საერთო კომპოზიცია სსრკში“.

აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედიაში საკმაოდ არის წარმოდგენილი ცნობები საჩარათელოს საჰარაკო მოღვაწეების და ტურნირების შესახებ. კერძოდ, აქ შეხვედრებით პერსონალურ წერილებს რესპუბლიკაში მცხოვრებ იმ პირებზე, რომლებიც წარმოდგენილი არიან ფილეს ე. წ. „ოქროს წიგნიში“ (ე. ი. ატარებენ დიდოსტ-

ხელშეკრებილი შაჰ ნაიკა


ტის, ოსტრის-საერთაშორასო წიგნების) აქ განსაკუთრებული ადგილი მიუძღვით ქართული საჰარაკო უნივერსიტეტის ისტორიას (4. და დანი-ა. გბალოში, გა ქარაელაქე მ. შიშვი, ვ. გაჩეჩილაძე და სხვ.). ენციკლოპედიის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჰარდაის ისტორიაში. მისი გაცნობა წარმოადგენს უქმნის მკითხველს ჰარდაის გასაიდარ და მდიდარ სამყაროზე. ამასთან, გვაფიქრებინებს, თუ რადიდი მოვლა და შეწავლა სპორტმა ქართულ ჰარდას, რომელიც საკუთარი ცნობარის შექმნას იმსახურებს.

შეგინებებით, რომ ენციკლოპედიაში მოთავსებული მასალების 25%-მდე საჰარაკო კომპოზიციანე მოდის. გთავაზობთ ერთ მათგანს:

„ჯგარი, ტერმინი საჰარაკო კომპოზიციაში; ნიშნავს ამოსხნის ვარიანტების ერთობლიობას, რომლებშიც მეფე (ლაზიერი ან ეტლი) რიგრიგობით დგება ფრონტალურად (ე. ი. პორიონტალური ან გერტიკალური მიმართულებით. შენიშვნა ჩვენია — რედ.) 4 უჯრაზე, რითაც მკაფიოდ გამოხატავს გეომეტრიულ ფიგურას. როგორც თუ მე, ჯ. ჩვეულებრივ, ერწყმის სხვა საამოცანო იდეებს. დიდი ჯ. (სამსკლიან ამოცანაში) ნიშნავს პოზიციას, რომელშიც ფიგურა თითოეულ ვარიანტში თანამდებარულად იკავებს ფრონტალურად 2 უჯრას“.

ბ. ჩინდანი, 1970

გ. რუდენკოს მიხედვით, 1961



შაჰი 3 ხელაში

ამ ამოცანაში, რომლის ამოსხნაც გთავაზობთ, შავი მეფის სვლები დიდ ჯვარს ქმნიან, ხოლო თეთრი მეფის — ჩვეულებრივ ჯვარს. ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

„სპორტპროგნოზი“, 52-ე ტირაჟის პროგრამა (80 დეკემბერი)

Table with columns for 'სსრ კავშირის ჩამვირთხევი ვარტთან კოქეიში (უხაღლესი ლიბა)', 'პროგნოზი', and 'იტალიის ჩამვირთხევი შეხეპარტში'. It lists various sports events and their predicted outcomes with numerical ratings.

ნის“ 1990 წლის 49-ე ტირაჟის შედეგები. ტირაჟში დაშვებულია 3,415,111 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (97) მოგება 528 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (3,707) — 27 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (34,088) — 10 მანეთი. საქართველოში: დაშვებულია: 164,847 ვარიანტი. 13-5, 12-145, 11-139.

49-ე ტირაჟის მოგებები გაიყვამი 1990 წლის 29 დეკემბრიდან 1991 წლის 29 იანვრის ჩათვლით. გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 49-ე ტირაჟის შედეგები. ნის“ 1990 წლის 49-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც შედგენილი იყო ჰარდაის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე ვ. კისპაროვსა და ა. კარაოვს შორის.

ტირაჟში დაშვებულია 156,056 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (124) მოგება 18 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2,149) — 2 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (16,595) — 1 მანეთი. საქართველოში: 13-4, 12-72, 11-535.

„C-11“ სპეცტირაჟის მოგებები გაიყვამი 1990 წლის 22 დეკემბრიდან 1991 წლის 22 იანვრის ჩათვლით. კალაღდის შემოღობის გამომუშავების უმრავლესობაში „სპორტპროგნოზის“ გამოცნობის ნაშრომი. რედაქტორი თანავის განვირთხევი

„სპორტლოტომ“ გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეეჯამა „სპორტლოტომ“ 1990 წლის 49-ე ტირაჟების შედეგები. „სპორტლოტომ“ 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1,381,408 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (1) მოგება 10,000 მანეთია, ხუთისთვის (19) — 3,195, ოთხისთვის, (1,416) — 43, სამისთვის (25,201) — 3. საქართველოში დაშვებულია 33,758 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-46, 3-713. „სპორტლოტომ“ 6 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15,664,198 ვარი-

Advertisement for 'ლელოს' (Leolos) lottery tickets. It includes contact information for the lottery office, a list of ticket numbers, and a grid of numbers from 1 to 80.